თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ლია მუხაშავრია:

„გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია“

„გამოდის, რომ ეს სახელმწიფო ისევ თავის თავს ემსახურება და არა ჩვენ. ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიული მოწყობის პრინციპს“

იხილეთ მე-2 გვერდზე

№37 (725) 15 - 21 დეკემბერი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ბიჭები ყავარჯნებით სასწაულებს ჩადიან

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

რატომ ვერ გაემგზავრა ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე და რა ბრალდებები აქვთ სახელმწიფოს მიმართ?

იხილეთ მე-5 გვერდზე

ოთხ ლარად დაკარგული მამაშვილობა

7 წლის ანანო იმ დღესაც ჩვეულებრისამებრ წავიდა სკოლაში. დუმდა და ვერავინ შეატყო, რომ მამის ძალადობის მსხვერპლი იყო. მისი შეშუპებული თვალები და დაღლილი სახე უძილობით ახსნეს. მხოლოდ რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ გამოტყდა, რომ თავი ტკიოდა. სწორედ მაშინ გაიგეს ანანოს ოჯახური კონფლიქტის შესახებ. როგორც გოგონა ჰყვება, მამამ (რომელსაც ფსიქიკური პრობლემები აქვს) დედის დატოვებული ოთხი ლარის გამო სასტიკად ცემა.

ანანო მამასთან ერთად მარტო ცხოვრობდა და ძალადობის პირისპირაც მარტო აღმოჩნდა. დედა მამის რჩევით სამუშაოდ საზღვარგარეთ იყო წასული.

მიუხედავად მომხდარისა, კლასის დამრიგებელი ამბობს, რომ მას ანანოზე ძალადობის კვალი არასდროს შეუმჩნევია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბავშვი განსხვავებულ ხასიათს ავლენდა, ჯიუტი იყო და შეეძლო გაკვეთილის მიმდინარეობის დროს ოთახიდან ყოველგვარი ნებართვის გარეშე გასულიყო.

„ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ამბავი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი მამასთან მარტო ცხოვრობდა, ყოველთვის მოწესრიგებული დადიოდა. ყურადღებას აქცევდა და არც სკოლას აცდენინებდა. ანანომ ერთხელ ისიც მითხრა, რომ მამამ ლობიანი გამოუცხო და ანანო დააწერა. ვერ ვიტყვი რა მოხდა. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დედასაც არ უსაუბრია და სახლში რა ხდებოდა, ნამდვილად ვერ გავიგებდი, თუ ძალადობის შემთხვევები იყო, დედას ბავშვი მოძალადე მამასთან არ უნდა დაეტოვებინა.“

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„უკვე მესამე შეხვედრას აცდენთ, ლექსო, ორი გაპატიეთ და რას ნიშნავს ეს?“

იმერეთის გუბერნატორმა ვანის საკრებულოს წევრი საჯაროდ დატუქსა

იხილეთ მე-2 გვერდზე

„სამართალიც ძვირი ყოფილა“



რატომ არ სჯერა 74 წლის სოციალურად დაუცველ არჩილ მარგველაშვილს ხელისუფლების დაპირების?

იხილეთ მე-3 გვერდზე

ჰოროსკოპი — გვ. 7 სკანვორდი — გვ.7 კროსვორდი — გვ. 7

PIN-მა სამწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარება სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

მითი, თითქოს ID ბარათების შემოღება ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებაა. მცდარია

იხილეთ მე-4 გვერდზე

პანდუსი — მოძრაობის უფლება

იხილეთ მე-6 გვერდზე

როგორ დაიცვა სამართალი ერეკლე II-მ

ერეკლე II-ის ოქმი ქვრივოხერი დედის საჩივარზე შვილის წართმევის გამო

იხილეთ მე-7 გვერდზე

საქართველო შევიდა ევროკავშირში, ქართველები?...

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქუთაისის ოპერის თეატრი 45 წლის იუბილესთვის ემზადება

იხილეთ მე-8 გვერდზე

PSnews.ge
ISSN 1987-7056

„უკვე მესამე შეხვედრას აცდენთ, ლექსო, ორი გაპატიეთ და რას ნიშნავს ეს?"

„ვერ ხვდებით, რა მგომარეობაა ქვეყანაში?" – იმერეთის გუბერნატორმა ვანის საკრებულოს წევრი საჯაროდ დატუქსა

იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში გამართულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომას რამდენიმე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მიზეზთა გამო არ ესწრებოდა. გუბერნატორმა, ზაზა მეფარიშვილმა გაცდენა არასაპატიოდ ჩაუთვალა ვანის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ალექსანდრე ლილუაშვილს. რომელსაც მეფარიშვილმა ტელეფონზე უშუალოდ საბჭოს სხდომის მიმდინარეობის დროს დაურეკა.

„უკვე მესამე შეხვედრას აცდენთ. ლექსო, ორი გაპატიეთ და რას ნიშნავს ეს? არ თანამშრომლობთ საკონსულტაციო საბჭოსთან, თუ როგორ გავიგო? არ მივიღებთ არანაირ განმარტებას და მოვითხოვ თქვენს სახელზე ოქმის დაწერას. თუ ჯერ კიდევ ვერ ხვდებით, რა მდგომარეობაა ქვეყანაში და თუ ვინმეს იწილო-ბიწილოს თამაში უნდა, მეც შესაბამისად მოვიქცევი,"– ამ სიტყვებით დატუქსა საჯაროდ გუბერნატორმა ალექსანდრე ლილუაშვილი.

მისივე განმარტებით, ხელისუფლებას სამი ძირითადი დებულება აქვს.

„დეპუტატს აქვს ვალდებულება კანონის წინაშე, პასუხისმგებლობა მოსახლეობის მიმართ, რომელმაც პრობლემების მოგვარებისთვის აირჩია ის და უფლება, დაესწროს რიგით სხდომებს და ანგარიშის წარდგენას, მაგრამ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე დასწრება არის არა დეპუტატის უფლება, არამედ ვალდებულება და პასუხისმგებლობა"–განაცხადა მეფარიშვილმა.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

ლია მუხაშავრია:

„გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია"

10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. როგორი იყო 2014 წელი საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, რა ხარვეზები არსებობს და რა პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას — ამ საკითხებზე „ლიბერალი" იურისტ ლია მუხაშავრიას ესაუბრა.

— ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დანაშაულმა კი არა, მისმა გაშუქებამ იმატა. თქვენი შეფასებით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რამდენად რეალურია ეს არგუმენტი?

— მგონი ორივე ერთდროულად ხდება. საზოგადოებას მოთხოვნა გაუჩნდა და მედიაც ამიტომ აწვდის მას ინფორმაციას. ჩვენი საზოგადოება საკმაოდ გარკვეულია ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოს ვალდებულებების საკითხში. 5 წლის წინ სრულიად განსხვავებული ვითარება იყო. რეპრესიებმა და ავტორიტარული რეჟიმის მოქმედებამ საზოგადოება ძალიან გაანათლა, მაგრამ ამაში დიდი ფასია გადახდილი — სიცოცხლე, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა. ეს საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ამის პარალელურად, მედიაც უფრო კვალიფიციური გახდა. მაგალითად, ახლა უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ სტატისტიკა არ არის მთავარი, ერთი ფაქტიც საგანგაშო უნდა იყოს და არის კიდეც. ადრე ამბობდნენ, წინა წელს ამდენი პატიმარი მოკვდა, წელს ნაკლები და უკეთესობააო. ამ სფეროსთვის ეს ლოგიკა საერთოდ უვარგისია.

— ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ხშირად გვესმის მტკიცებითი ფორმით ნათქვამი ბრალდებები იმ საქმეებზე, სადაც ჯერ სასამართლოს განაჩენი არ გამოუტანია. არის თუ არა ასეთი განცხადებები ბრალდებულების უფლებების დარღვევა და რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პოლიტიკოსს?

— ამ შემთხვევაში პოლიტიკოსისთვის ყველაზე დიდი სასჯელი ის იქნება, რომ საზოგადოებამ დააწესოს ნომინაცია — „ყველაზე სასირცხვილო ფრაზების ავტორი" და წლის ბოლოს გამარჯვებულს ჩარჩოში ჩასმულ სერთიფიკატთან ერთად რამე სასაცილო პრიზი გადასცეს.

ვიცით, რომ საქართველოში გამოძიება ვერა და ვერ დაიბადა, ვერ გაახილა თვალები და გამოძიებას ვერ დაემსგავსა. ამიტომ ხელისუფლება კვიმატი მეთოდებით უკვე სასაცილო მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ.

მე მესმის, რომ დაზარალებულთა მხარეს არის მოკლული ადამიანები, გაუბედურებული ოჯახები, დანგრეული ცხოვრება და ახალგაზრდობა. მაგრამ ტრადიციული მეთოდები არასაკმარისია.

ხელისუფლების ძალადობამ გამოიწვია ის, რომ ძალადობრივი ურთიერთობის ფორმა კულტურის და ყოფის ნაწილი გახდა. ეს ქმნის იმის საფუძველსაც, რომ ადამიანის უფლებების შელახვა, მისი უკანონოდ დაპატიმრება ადვილია.

დასავლეთში პოლიცია რომ მოკლავს ვინმეს, იმ დღესვე მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება და დამნაშავის დასჯას ითხოვს. ჩვენ რამდენჯერ დაგვემართა ასეთი ამბავი და რამდენჯერ გამოვდით ქუჩაში?! ეს ხელისუფლების თვითნებობას ზრდის, მათ ჰგონიათ, რომ ამის უფლება აქვთ და რიხიანად, თავაწევით გველაპარაკებიან.

ზოგჯერ მე მრცხვენია, რომ ჩემი მთავრობის მეთაური ასეთ სამარცხვინო განცხადებებს აკეთებს. უწესოდ კი არა, უვიცად იქცევა. ამას აკეთებენ ის ადამიანებიც, რომლებიც გუშინ უფლებადამცველები იყვნენ და განათლებით იურისტები არიან, უფრო უარესი, ევროკონვენციას მოიშველიებენ ხოლმე. თეორიულად ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი უყვართ და პრაქტიკულად თვითონ არღვევენ ხოლმე კონვენციას.

— წელს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების შესახებ არაერთმა მოქალაქემ განაცხადა. რამდენად ადეკვატურია ამ ფაქტებზე პასუხისმგებელი უწყებების რეაგირება?

— ძალიან სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ ვერ ისწავლა ჭკუა, ვერ გაიგო მარტივი რამ — სახელმწიფოს სახელით მოქმედ შეიარაღებულ პირს განსაკუთრებით მკაცრი კონტროლი სჭირდება. იმიტომ, რომ შეიარაღებული კრიმინალის გამოვლენა და განიარაღება შესაძლებელია. მაგრამ როდესაც სახელმწიფოსა და შსს-ს სახელით შეიარაღებულ ადამიანთა ორგანიზებული ინსტიტუცია მოქმედებს და ის უფლებამოსილებას რამე ფორმით გადაამეტებს, ეს ყველაზე სახიფათო მოვლენაა.

ამიტომ ამაზე ხელისუფლებას ზემდეტად სერიოზული რეაქცია უნდა ჰქონდეს, რათა მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენცია მოხდეს და ამ უწყების თანამშრომლებს გაცნობიერებული ჰქონდეთ, — მის იარაღს უფრო მკაცრი მოპყრობის წესი აქვს, ვიდრე კრიმინალის მიერ უკანონოდ შეძენილს. კონტროლიც გაცილებით მკაცრი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენთან პირიქითაა.

ეს არის სახელმწიფოს საუკეთესო ინტერესი, რათა საკუთარი ინსტიტუციების გახრწნა არ დაუშვას. თუ კონტროლი არ არის, მაშინ სამართალდამცავები გადადიან თვითნებობაზე და პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის ხდებიან საშიშნი. ეს არ არის ვიღაცის პრეტენზია ან დაზარალებულთა ახლობლების მოთხოვნა. ეს არის სახლმწიფო პოლიტიკის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი.

საზოგადოება თუ არ გენდობა და პატივს არ გცემს, არაფერი გამოვა. ის უნდობლობა, რაც არსებობს ძალიან საშიშია ყველასთვის.

ამასთან, ძალიან სამწუხაროა, როცა ასეთი არასაიმედო ჰაბიტუსის მქონე შინაგან საქმთა მინისტრი გყავს. ის მისი და მისი უწყების მიმართ ნდობას არა მარტო მისი ასაკით, კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით, არამედ ჰაბიტუსითაც უნდა ქმნიდეს. ამას დემოკრატიულ ქვეყნებში ყურადრებას აქცევენ.

— მიუხედავად სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის პროტესტისა, პირად მონაცემებზე წვდომის გასაღები კვლავ შსს-ში რჩება. როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა ამით საზოგადოების უფლება?

— ფარული მიყურადება რომ ხდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება, თანაც ეს ახლა უკვე კანონითაა დადგენილი. მაგრამ, როცა კანონში არ არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მის კანონიერებაზე ზედამხედველობა მოხერხდება, რა თქმა უნდა, თვითნებობა იქნება და სახელმწიფო ჩვენს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში როგორც უნდა, ისე ჩაერევა. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ამას და ვიცით, სატელეფონო საუბრის თემა რა შეიძლება იყოს, მაგრამ უფრო საშიში ინტერნეტის მასალებზე სრული წვდომაა. ვინც ინტერნეტს აქტიურად იყენებს, ეს ხელისუფლებას მათი კონტროლის ძალიან საშიშ შესაძლებლობას აძლევს.

მაგალითად, მე ევროსასამართლოს საქმეებზე ვმუშაობ და მთელს მსოფლიოში ჩემს კოლეგებს ყოველდღიურად ვუკავშირდები. მე მაქვს ისეთი ინფორმაცია, რომ სულაც არ მინდა, არათუ ხელისუფლებამ ნახოს, რომელიც ევროსასამართლოში ყველა საქმეზე ჩემი ოფიციალური მოწინააღმდეგეა, არამედ ვინმე უცნობმა ან

ლია მუხაშავრია

კოლეგამ. ასეთ დროს, მე შემიძლია ვამტკიცო, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა დარღვეულია.

მე წინა და ამჟამინდელ მთავრობებს შორის ტოლობის ნიშანი რამდენჯერმე დავსვი. ყველაზე სქელი ორი ხაზი ამ კანონის მიღების შემდეგ დაისვა. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამ კანონის ავტორები ჩემი კოლეგები არიან.

— ბოლო პერიოდში ომბუდსმენი ციხეებში პატიმრების მიმართ არაადამიანურად მოპყრობაზე ხშირად საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის?

— ნებისმიერი ფაქტის გამოძიება კვალიფიციურად უნდა დაიწყოს. მაგრამ ყველაზე პრობლემური ჯანმრთელობაშერყეული პატიმრების საკითხი მგონია.

მე არ მყავს პატიმარი, რომელიც აშკარა წამების ან ფიზიკური ზემოქმედების მსხვერპლია. მაგრამ მყავს პატიმარი, რომლის პირად საქმესაც ციხის ადმინისტრაცია არ გვაწვდის და არ ვიცით, რატომ გადაიყვანეს ერთი საპყრობილიდან მეორეში, თანაც ორი თვის განმავლობაში მის საკანში ვიდეოთვალთვალი სრულიად უკანონოდ ხორციელდებოდა.

არის კიდევ პატიმარი, რომელიც მძიმე ავადმყოფია. გამოკვლევები ჩაუტარეს, მაგრამ ვერ დადგინდა დიაგნოზი. ამ შემთხვევაში მას ალტერნატიული გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობა ეძლევა. მაგრამ ამისთვის ომი გვჭირდება და ეს არ არის ნორმალური.

ერთ-ერთი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. მაგრამ იმის გამო, რომ კანონიერი ქურდია, მისი სასჯელისგან გათავისუფლება შეუძლებლად მიაჩნიათ. მე ეს სერიოზული დისკრიმინაცია მგონია, ჯერ იმიტომ, რომ კანონიერი ქურდობის მუხლი კანონში ისევ დარჩა და დღევანდელი ხელისუფლება მას ძალიან კარგად იყენებს. არადა ისინი ძალიან სერიოზულად აკრიტიკებდნენ მას და ახლა თურმე გამართლებულია. თუ შენ ადამიანს ამ მუხლით გაასამართლე, და მერე ადამიანად აღარ ჩათვლი, მაშინ შენ საკუთარ ადამიანობაზე ამბობს უარს. ეს დამოკიდებულება დარჩა და ვერ ვხედავთ რადიკალურ ცვლილებებს, რის გამოც წინა ხელისუფლება შევცვალეთ.

— რა საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლებოდა განხორციელებულიყო ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის გასაუმჯობესებლად?

— უპირველესი სამართლიანობის აღდგენის საკითხია. ეს იყო პირველი თემა როცა მთავრობებს შორის პირველი ტოლობა დავსვი.

აცხადებენ, რომ თურმე წინა რეჟიმის მსხვერპლთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ არ ღირს, ამ ადამიანებს ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი შევწიროთ. არავინ არ ფიქრობს, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების სამართლიანი გადასინჯვის მექანიზმები შეიქმნას. თურმე ამას ხელს ბიუჯეტი უშლის. ჯერ ერთი, ადამიანმა გადახდამდე დიდი გზა უნდა გაიაროს. თანაც მან შესაძლოა უცებ არც მოითხოვოს მისი გადახდა, უბრალოდ სახელმწიფომ აღიაროს, რომ დამნაშავეა. ამ ადამიანებს დაუნგრიეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, დაენგრათ ცხოვრება, გაუუბედურდათ ოჯახები, შემოეფლანგათ თუ რამე გაჩნდათ და ამის მერე სახელმწიფო ურცხვად ამბობს, რომ მისთვის პრიორიტეტული ბიუჯეტია და არა მისი მოქალაქის ღირსება და დარღვეული უფლებები.

გამოდის, რომ ეს სახელმწიფო ისევ თავის თავს ემსახურება და არა ჩვენ. ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიული მოწყობის პრინციპს, ეს ხალხი იმისთვის დავიქირავეთ დროებით, რომ ჩვენ გვემსახურონ და არა ჩვენ ვემსახუროთ მათ. ეს არის ძალიან ღრმა და სერიოზული პრობლემა.

კანონში არაფერი შეცვლილა მხარეთა თანასწორობის პრინციპის კუთხითაც. ის დაცვის უფლების საზიანოდ ირღვევა.

შეწყალების კომისიაში ბევრი პირი მოდის ერთსა და იმავე დანაშაულზე და ერთს სასამართლომ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მიუსაჯა მაქსიმუმი და არჩევნების შემდეგ მეორეს — მინიმუმი. ეს არის წარმოუდგენელი უსამართლობა. ამაზე ჩვენი კომისიის გარდა, მგონი, არავინ წუხს.

მაგალითად, გიორგი გვიჩიანს სამუდამო პატიმრობა შეეცვალა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. თუ საფუძველი არ იყო გადასინჯვის, რატომ შეეცვალა, თუ საფუძველი იყო, მაშინ ის ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს. მაგრამ მაინც ციხეში დატოვეს.

— რა მიგაჩნიათ 2014 წელს ადამიანის უფლებების ყველაზე სერიოზულ დარღვევად?

პირველ რიგში, ეს არის ე.წ. გასაღები საკითხი. პირველ აგვისტოს ძალიან სერიოზული საფუძველი მოიმზადეს იმისთვის, რათა 1 დეკემბერს ასეთი გადაწყვეტილება მიეღოთ. არ დაგვიტოვეს საშუალება გარდა იმისა რომ გვეკივლა, რომ წავალთ სტრასბურგში და ბათუმში და ვიჩივლებთ.

— ამ ყველაფრის ფონზე რამდენად შეიძლება იმის თქმა, რომ ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებები პრიორიტეტულია?

— არანაირად აღარ შეგვიძლია რომ ეს ვიფიქროთ. პირიქით, დარღვევა და ფეხქვეშ გათელვაა პრიორიტეტული. ტყუილად ამბობენ, რომ დემოკრატიის გზას ვადგავართ. მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არაფერს ნიშნავს.

— თქვენ რა გამოსავალს ხედავთ, რა უნდა შეიცვალოს?

— ორი წლის თავზე მე დავრწმუნდი, რომ არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება და მთავრობა არ გვივარგა, არამედ პარლამენტიც უნდა წავიდეს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია. მე არ მოველი სიკეთეს იმ კანონდებლისგან, რომელმაც მოსმენებთან დაკავშირებით ასეთი სილა გაგვაწნა. თუ ამ მთავრობას რამე რესურსი ჰქონდა, აქამდე შეეძლო გამოვლენა. ახლა ვხვდები, რომ ეს რესურსი არ ჰქონია და ჩვენ ილუზიას ვიქმნიდით.

liberali.ge

„სამართალიც ძვირი ყოფილა“

რატომ არ სჯერა 74 წლის სოციალურად დაუცველ არჩილ მარგველაშვილს ხელისუფლების დაპირების?

ქუთაისში, ნიკეას პირველ შესახვევში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდი, მარტოხელა 74 წლის არჩილ მარგველაშვილი დახმარებას ითხოვს. არჩილ მარგველაშვილი ერთოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობს. მეუღლე 4 წლის წინ დაეღუპა, ერთადერთი ვაჟი კი 22 წლის ასაკში, 9 აპრილის ტრაგედიას შეეწირა. როგორც 74 წლის სოციალურად დაუცველი არჩილ მარგველაშვილი ამბობს, ის წლებია მეზობლის დაუდევრობის მსხვერპლია. ზემოდან ჩამოსული წყალი მის საცხოვრებელს აზიანებს.

„ძალიან ვიწრო ოთახი მაქვს, შეჭირვებულად ვცხოვრობ. ისედაც რთულ პირობებში ვარ, არავინ მაქცევს ყურადღებას და ამას მეზობლის დაუდევრობა ემატება. წლებია, წყალი ნიაღვარივით ჩამომდის ოთახში. ჩამომივარდა ჭაღი, გაშავდა და გაფუჭდა კედლები და იატაკი, დამისველდა ტანსაცმელი და დღეს არაფერი არ მაქვს, რომ ჩავიცვა, რაც გადაურჩა გაფუჭებას, სულ ის მაცვია და მეშინია, ისიც არ გამიფუჭდეს. სველი ტანსაცმლის გასაშრობად ადგილიც არ მაქვს.

ყველაფერი გამიფუჭდა და მალე უსახლკაროდაც დავრჩები, თუ მეზობელი ყურადღებას არ გამოიჩენს და წყლის ჩამოშვებას ისევ გააგრძელებს,“ — განაცხადა **არჩილ მარგველაშვილმა.**

როგორც არჩილ მარგვლაშვილი იხსენებს, 2009 წელსაც ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მეზობელ თამაზ ყურაშვილის გულგრილობის გამო, იძულებული გახდა, სასამართლოსთვის მიემართა. 2009 წლის

არჩილ მარგველაშვილი

„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©

20 მაისს გამართული სასამართლო პროცესი მარგველაშვილის გამარჯვებით დასრულდა. თამაზ ყურაშვილს კი ზარალის ასანაზღაურებლად ჯარიმა 317 ლარი და 82 თეთრი დაეკისრა.

„მესამე სართულიდან დიდი ხნის წინ დაიწყო წყლის ჩამოშვება მეზობელმა, რომელიც დროებით ქირით ცხოვრობდა, ვერაფერს გავხდი და იძულებული ვიყავი, მეჩივლა. თანხა სასამართლოს შემდეგ კი გადამიხადა და თვითონ გადავიდა იმ ბინიდან, მაგრამ მალევე გაიყიდა ის საცხოვრებელი და ამჯერად ახალ მდგმურთან მიწევს ბრძოლა, რომლის სახელი და გვარიც კი არ ვიცი, ბინის მეპატრონეს სულ არ ადარდებს, რა მომივა. ადამიანურმა თხოვნამ კი წლებია არანაირი შედეგი არ გამოიღო.“

არჩილ მარგველაშვილმა, მეზობლისგან წყლის ჩამოშვების ბოლო ფაქტის შემდეგ, უბნის ინსპექტორს მიმართა, რომელმაც ურჩია, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალში მისულიყო და დახმარება მათთვის ეთხოვა. როგორც მარგველაშვილი ამბობს, „საია“-მ ექსპერტთან გადაამისამართა, რომელიც სასამართლო პროცესზე დახმარებას აღმოუჩენდა. როგორც მარგველაშვილი ჰყვება, მას არ აქვს საშუალება ექსპერტის მომსახურებისთვის საჭირო 500 ლარი გადაიხადოს, რის გამოც მარტოხელა მარგველაშვილი იძულებულია მეზობლის დაუდევრობას მარტო ებრძოლოს.

„რადგან სოციალურად დაუცველი ვარ სასამართლო იჯარას არ მახდევინებს, მაგრამ მითხრეს, რომ ამ მდგომარეობაში მარტო ექსპერტს შეუძლია დამეხმაროს და სასამართლო მოგაგებინოსო. სოციალურად დაუცველი ვარ და 500 ლარი ჩემთვის ძალიან დიდი ფუფუნებაა. დავდივარ და გამოსავალი ვერსად მიპოვია. ბინის მეტი არაფერი არ გამაჩნია, კიდევ რომ ჩამომივიდეს წყალი, ალბათ, გული გამისკდება ნერვიულობით, პატრონი მე არ მყავს და დამაცადონ დარჩენილი სიცოცხლე მშვიდად გავატარო, ვის რას ვუშავებ. ერთი პერიოდი ვიფიქრე, იქნებ სოციალური სტატუსის გამო, არ გადამახდევინონ თანხა-მეთქი, მაგრამ ეს შენი სტატუსი არ ჭრისო მითხრეს და ის 500 ლარი არ ამინაზღაურეს. სიტყვით ვერაფერი გამივიდა და მეგონა, სამართლით მაინც მივაღწევდი რამეს, მაგრამ სამართალიც ძვირი ყოფილა.“

არჩილ მარგველაშვილი ცდილობს, პრესის საშუალებით მიაწვდინოს ხმა მეზობელს, რომ მარტოხელა პენსიონერის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინოს, ხელისუფლებას კი ერთჯერად დახმარებას თხოვს.

როგორც მარგველაშვილი იხსენებს, ერთჯერადი დახმარების თხოვნით უბნის მაჟორიტარ-დეპუტატს ირმა პეტრიაშვილს მიმართა. დეპუტატიც დაჰპირდა, რომ 2015 წლის თებერვალ-მარტის თვეში, როდესაც ქუთაისის ბიუჯეტი საბოლოოდ გაწერილი იქნება, შეეცდება, რაიმე დახმარება გამოუყონ. თუმცა, გულგრილ დამოკიდებულებას მიჩვეულ მარგველაშვილს ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპირებების იმედი აღარ აქვს...

ჟანა ჯანელიძე

ოთხ ლარად დაკარგული მამაშვილობა

პირველი გვერდიდან

ოჯახში არსებულ ძალადობაზე დაგვიანებით საუბრობს ანანოს დედაც ე.პ. რომელიც, როგორც ირკვევა ძალადობის მსხვერპლი წლების განმავლობაში იყო.

„მეუღლე ჩემზე მუდმივად ძალადობდა. ბავშვის მიმართ კი ასეთი აგრესია არასდროს გამოუვლენია. შეიძლება, ეყვირა და მსუბუქად დაესაჯა, მაგრამ ცემით არასდროს უცემია. ასე რომ ყოფილიყო, მასთან როგორ დავტოვებდი?! სამწუხაროდ, ჩემი შვილი ძალადობის პირისპირ დაუცველი აღმოჩნდა. მეუღლეს ფსიქიკური პრობლემა აქვს, მაგრამ „თეთრი ბილეთი“ თუ ჰქონდა, არ ვიცოდი და ახლა გავიგე.“

მომხდარი, შესახებ სკოლამ სოციალური მომსახურების სააგენტოს და საპატრულო პოლიციას იმ დღესვე აცნობა. ბავშვი მამიდასთან გადაიყვანეს, მამაზე კი შემაკავებელი ორდერი გაიცა.

შემთხვევის სიმძიმის მიუხედავად, ფსიქიკური პრობლემის მქონე მშობლის შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანაც არ მომხდარა. როგორც აღვნიშნეთ, ერთადერთი შეზღუდვა, რაც მამას დაუწესდა, მასზე გამოწერილი შემაკავებელი ორდერია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მოძალადის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შემაკავებელი ორდერი მისთვის დაბრკოლება ვერ იქნება და შესაძლოა, ბავშვზე ძალადობის ფაქტი ისევ განმეორდეს, რის ალბათობასაც ანანოს მამიდის ნაამბობიც ამყარებს. როგორც მოძალადის და ჰყვება, ოჯახიდან დედასთან ერთად ძმის მიერ მათზე არაერთხელ განხორციელებული ძალადობის გამო წავიდა.

შემაკავებელი ორდერი რომ უსაფრთხოების გარანტია არ არის, ადასტურებს ანანოს დედა ე.პ. როგორც იგი ამბობს, სკოლაში წასვლისას გზად მეუღლის სახლთან უხდებათ გავლა, რაც მათთვის საფრთხეს წარმოადგენს.

როგორც ე.პ. აღნიშნავს, მომხდარის შემდეგ მასთან პოლიცია აღარ მისულა, თუმცა, ბოლო გამოძახებისას პატრულმა უთხრა, რომ შორიდან ადევნებენ თვალს და რისკების თავიდან ასაცილებლად მათ ამბავსაც ეცნობიან, რაც დედა-შვილისთვის დამამშვიდებელ ფაქტორი მაინც არ არის.

„შემაკავებელი ორდერი გამოიწერა, მაგრამ თავს უსაფრთხოდ ვერ ვგრძნობ. მეშინია, გზაში არ დაგვხვდეს და ჩემმა შვილმა კიდევ არ მიიღოს ტრავმა. ძალადობა მას შემდეგაც კი განმეორდა, რაც საქმეში პოლიცია ჩაერთო. სახლში ბავშვის ნივთების წამოსაღებად რომ მივედი, მიუხედავად სასამართლოს ნებართვისა, ნივთების წამოღების უფლება არ მომცა და ჩხუბი დამიწყო. პოლიცია გამოვიძახე, ვიდრე ისინი მოვიდნენ, ჩემი ქმარი უკვე სახლში აღარ იყო. პოლიციამ მითხრა, რომ შორიდან იგებენ ჩვენს ამბავს, ესეც კარგია, მაგრამ მარტო როცა ვიქნები, როგრო მოვიქცე? როგორც გითხარით, ჩემს მიმართ ხშირად ძალადობდა. რამდენიმე წლის წინ დავშორდი, მაგრამ ანანოს დაჟინებული თხოვნის გამო ისევ შევურიგდი. თუმცა, რას წარმოვიდგენდი, რომ ძალადობის მსხვერპლი ჩემს შემდეგ ჩემი შვილიც გახდებოდა.“

***

არის თუ არა კანონით გათვალისწინებული ზომები საკმარისი ოჯახურ ძალადობასთან საბრძოლველად და რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლის ეფექტურად დაცვას?

ერთადერთი ბერკეტი, რაც სახელმწიფოს რეალურად აქვს, შემაკავებელი და დამცავი ორდერებია, რაც თავის მხრივ ძალადობის მსხვერპლთა და თვითმხილველთა თქმით, ძალადობის აღსაკვეთად

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

საკმარისი არ არის. მართალია, შემაკავებელი ორდერი მოძალადეს კანონის ფარგლებში ძალადობის მსხვერპლთან მიახლოვებას უკრძალავს, თუმცა, ის, როგორც აკრძალვა, მაინც ვერ იქნება გარანტი ბავშვის დაცულობისა. სამწუხაროდ, განმეორების შემთხვევაში ძალადობა, შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს.

ქალაქში ასევე თავშესაფრების პრობლემაც არსებობს, რომლის შესახებაც პედაგოგები და რიგითი მოქალაქეები საუბრობენ.

შევეცადეთ, თავშესაფრებში არსებულ მდგომარეობას ადგილზე გავცნობოდით, მაგრამ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ მისამართებზე თავშესაფრები ვერ ვიპოვეთ.

როგორც მეურვეობა-მზრუნველობის იმერეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე ნათია წივწივაძე საუბრობს, სახელმწიფოს მიზანია ბავშვი ოჯახურ გარემოში იზრდებოდეს, რისთვისაც მაქსიმალურად ცდილობს, პრობლემა ნაკლებად მძიმე მექანიზმებით დაარეგულიროს.

„ყველანაირად ვცდილობთ, ბავშვი ბიოლოგიურ მშობლებთან დარჩეს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდება სახელმწიფო მზრუნველობაში გადაყვანა. მოძალადის მიმართ შესაბამისი ღონისძიებები ტარდება, რაც უფლების შეზღუდვით გამოიხატება.

ამის პარალელურად, ძალადობის მსხვერპლზე მონიტორინგს ვაგრძელებთ. თუ პირი გადალახავს ორდერით დაწესებულ ვალდებულებას, მოქმედებას იწყებს დამცავი ორდერი. მხარეების (მშობლები) მიერ ურთიერთობის აღდგენის შემთხვევაში, დამცავი ორდერი უქმდება,“ — ამბობს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის უფროსის მოადგილე, მეურვეობა-მზრუნველობის იმერეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე **ნათია წივწივაძე.**

***

კანონში არსებულ ხარვეზებთან ერთად მნიშვნელოვან ფაქტორს სამოქალაქო განათლების პრობლემა წარმოადგენს. მშობლის ან მეურვის უმეტესობა ვერ აცნობიერებს, რომ ყურის აწევა, ყვირილი და მსუბუქად ცემა ძალადობაა და რომ ამით ბავშვის დისკრიმინაცია ხდება. როგორც მოძალადეები, ასევე მსხვერპლები, ძალადობის ფაქტებს უმეტესად ოჯახის იმიჯის შესაძლო შელახვის მოტივით მალავენ.

***

ძალადობამ 7 წლის ანანოზეც დატოვა კვალი. დედის თქმით, ანანო უფრო ჩაკეტილი და აგრესიული გახდა. არ საუბრობს, ყველაფრის ეშინია და ყველაფერზე ტირის.

მასთან ახლა ფსიქოლოგი მუშაობს. ანანოს და დედამისს წასასვლელი არსად აქვთ, ამიტომ, აპირებენ თავშესაფრით ისარგებლონ. დედას იმედი აქვს, რომ მომავალში სამუშაოს იპოვის და შვილის გაზრდას დამოუკიდებლად შეძლებს.

ანანოს დედასთან ერთად სკოლაში შევხვდი. ერთი შეხედვითაც გამოარჩევთ სხვა ბავშვებისგან — ჩუმად არის, გარიყულად დგას და თავდახრილია. თითქოს საკუთარი მამის მიერ განხორციელებულმა ძალადობამ მასზე სამუდამო დაღი დატოვა და არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინა, ამიტომ ბავშვი, რომელმაც წლების წინ დედას გაშორებულ მეუღლესთან შერიგება მამისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო სთხოვა, დღეს მამას საერთოდ აღარ ახსენებს. ერთადერთი, რასაც ახლა გრძნობს, მხოლოდ შიშია, შიში საყვარელი მამისგან დაუცველობის.

ნესტან ჩაგელიშვილი

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

მითი, თითქოს ID ბარათების შემოღება ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებაა, მცდარია

განცხადებები, თითქოს საქართველოშიპირადობისმოწმებების იგივე ID ბარათების შემოღება ასოცირებისხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსუკავშირდება და ეს პროცესი ევროკავშირის მოთხოვნით ხორციელდება, არშეესაბამება სიმართლეს. უფრომეტიც, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში ID ბარათები საერთოდ არ გამოიყენება.

მსოფლიოში გარკვეული ქვეყნები მოქალაქეებს პირადობისდამადასტურებელი დოკუმენტების ქონას ავალდებულებენ (მაგ., გერმანია, ნიდერლანდები და ა.შ.). თუმცა არსებობენ ქვეყნები, სადაც ამგვარი ვალდებულება არ არსებობს (აშშ, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულისამეფო, ირლანდია, შვეიცარია, ავსტრია და სხვ.) და სადაც საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მოვალეობას პასპორტი(ბრიტანეთში - არაბიომეტრიული პასპორტი), მართვის მოწმობა, სადაზღვევო მოწმობადა სხვა დოკუმენტი ასრულებს.

2004 წელს, ევროკავშირის საბჭომ პასპორტებში და სამგზავროდოკუმენტებში (და არაპირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში, რომლებიც წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებზე გაიცემა) ბიომეტრიული მონაცემების შეტანის შესახებ დადგენილება N2252/2004 მიიღო. ესდადგენილება მხოლოდ ევროკავშირის მასშტაბით გაცემულ პასპორტებზე დასამგზავრო დოკუმენტებზე ვრცელდება (არ ვრცელდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე). დადგენილება მოქმედებს ევროკავშირის მასშტაბით, გარდა შემდეგი წევრი სახელმწიფოებისა: დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო. დადგენილება ასევე ძალაშია, ევროკავშირის ასოცირებულ წევრ ქვეყნებში, კერძოდ, შვეიცარიაში, ლიხტენშტეინში, ნორვეგიასა და ისლანდიაში.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით,საქართველოს მართლაც აქვს აღებული ვალდებულება ბიომეტრიულიპასპორტების შემოღებასთან, თუმცა, არა ID ბარათების შემოღებასთან დაკავშირებით. საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის, სამოქმედოგეგმის ელემენტების 2.1. ბლოკში ვკითხულობთ:

"საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს კონსოლიდაცია, რომელიც უზრუნველყოფს

მოქალაქეთა სტატუსისა დამოქალაქეთა რეგისტრაციის პროცესის ერთიანობასა და უსაფრთხოებას, საქართველოს მოქალაქეების გაერთიანებულ დაუსაფრთხო ელექტრონულ

ბაზაში რეგისტრაციის ჩათვლით, სათანადოდ უზრუნველყოფილი დაცვის ზომებით, რამდენადაც საქმე ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უმაღლეს სტანდარტებს."

„საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს კონსოლიდაცია მანქანაკითხვადი ბიომეტრული პასპორტების გამოშვების მიზნით, რომელიც სრულშესაბამისობაში იქნება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის(ICAO) სტანდარტებთან"...

ID ბარათთან დაკავშირებული დისკურსი ევროპის სახელმწიფოებში სწორედპერსონალური მონაცემების დაცვას უკავშირდება, რისი დაცვისვალდებულებაც ასოცირების ხელშეკრულებაშიც არის აღნიშნული დასახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნასაქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი.

თუმცა, საქართველოში, ID ბარათების შესაძლო ნეგატიურ მხარეებზესაუბრისას, როგორც წესი, აპელირება ხდება არა ზემოაღნიშნულლეგიტიმურ საფრთხეზე, რისი დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმიშექმნილია, არამედ სულ სხვა, ნაკლებად რეალისტურ, მისტიფიცირებულ დაცრურწმენებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოსახლეობის ნაწილი,პირადობის ელექტრონული მოწმობების დანერგვის წინააღმდეგი მხოლოდიმიტომაა, რომ ფიქრობენ, თითქოს ID ბარათი ეშმაკის კოდს, ე.წ. „მხეცისნიშანს" 666-ს შეიცავს. ID ბარათი ცალკეულმა საასულიერო პირებმაქრისტიანულ მოძღვრებაში არსებულ ესქატოლოგიურ მოტივებს მოარგეს დაამგვარად გაჩნდა საზოგადოებაში ID ბარათების საკითხის აპოკალიფსურიწინასწარმეტყველებების მიხედვით გამოცხადებულეშმაკის ბეჭედთან გაიგივება.

ამ მოსაზრების მართებულობას არც საქართველოს მართლმადიდებლურიეკლესიაიზიარებს. 2012 წლის 5ივლისის წმინდა სინოდის განჩინებაში აღნიშნულია: „სადღეისოდ წარმოდგენილი ID ბარათების ვერსია საღვთისმეტყველო დასაეკლესიო სწავლების მიხედვით, არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და აქედანგამომდინარე, ამ ბარათით სარგებლობა შესაძლებელია".

ID ბარათს მრავალი უპირატესობა გაჩნია ძველი თაობის დოკუმენტებთან შედარებით.

იგი მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისაგან დაცული პირადობისდამადასტურებელი დოკუმენტია, რომლითაც შესაძლებელია პიროვნებისიდენტიფიკაცია დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. ასევე, ID ბარათი ელექტრონული დოკუმენტების ციფრული ხელმოწერითდადასტურების საშუალებას იძლევა დამოქმედი კანონმდებლობის თანახმად,მას იურიდიული ძალა გააჩნია. ID ბარათში მოთავსებულია ორიელექტრონული მატარებელი: კონტაქტური და უკონტაქტო. პირველზედატანილია პირის პერსონალური მონაცემები, ხოლო მეორე განკუთვნილიასხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებისათვის. ელექტრონულ პირადობისმოწმობაზე შესაძლებელია ყველა სხვა სახის ბარათის ინტეგრირება,რომელიც გაიცემა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების მიერ,შესაბამისად მოწმობის მფლობელებს ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონმხოლოდ ერთი, უნივერსალური ID ბარათით. დოკუმენტი იძლევაშესაძლებლობას, დავზოგოთ დრო და სახლიდან გაუსვლელად შევასრულოთსხვადასხვა ოპერაციები და ვისარგებლოთ სწრაფი მომსახურებით, როგორცსახელმწიფო, ისე კერძო კომპანიებში.

www.eurocommunicator.ge

PIN-მა სამწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარება სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს

ორგანიზაცია „People in Need" (PIN) და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, 12 დეკემბერს თბილისში სასტუმრო „ჰოლიდეი-ინ"-ში პროექტის „სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისა და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერა დასავლეთ საქართველოში", შემაჯამებელი კონფერენცია გამართა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სამწლიანი პროექტისა და სამი საპილოტე პროგრამის მუშაობის შედეგები.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამწლიანი პროექტი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა. კონფერენციაზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ტომაშ პერნიცკი — ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში და ალბერტ შიდო — ატაშე, ჩეხეთის განვითარების სააგენტო; ნიკოლოზ მესხიშვილი, სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური პროგრამების, მეურვეობის და მზრუნველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტო, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2012 წლის მაისიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით PIN-ის ორგანიზებით პროექტი დასავლეთ საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში: ტყიბულში, წყალტუბოსა და ქუთაისში მიმდინარეობდა.

პროექტი მიზნად ისახავდა სოციალურად დაუცველ ახალგაზრდობასთან მომუშავე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შესაბამისი სამსახურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა უნარების ამაღლებას, სოციალური სერვისების მიწოდებისა და ახალი კონცეფციების დანერგის კუთხით; ასევე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ახალგაზრდების და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერას დასავლეთ საქართველოში.

პროექტის პირდაპირ მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები სოციალურად შეჭირვებული მრავალსულიანი ან არასრული ოჯახებიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები, სოციალური მუშაკები, სოციალური მეწარმეები და სოციალური სერვისის მიმწოდებელი სხვა დაინტერესებული პირები.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტი სოციალური დახმარების სახელმწიფო პოლიტიკაში ცვლილებების ადვოკატირებას ისახავს მიზნად, რათა მოხდეს ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება, რომ მათ წამოიწყონ საკუთარი საქმე. ახალი კონცეფციების დანერგვას, ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

პირველი საპილოტე პროექტი განხორციელდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტი განხორციელდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ — „შემთხვევის მართვის ინდივიდუალური სისტემის დანერგვა იმერეთში". პროექტში ჩართული იქნა 46 სოციალური მუშაკი და მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები (ქუთაისი, ხონი, სამტრედია), რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები. შემთხვევის კონფერენციის საპილოტე მოდელი გაზიარებული და დამოუკიდებლად დანერგილ იქნა სოციალური სერვისების სააგენტოს მიერ.

მეორე საპილოტე პროექტი, ასევე განხორციელდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. რაც ითვალისწინებდა მცირე საოჯახო სახლების ბენეფიციარებისთვის ინტეგრირებული სერვის-პაკეტის უზრუნველყოფას — ხელობის შემსწავლელი და სხვადასხვა უნარების ტრენინგებს, რაც დაეხმარებათ ახალგაზრდებს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში მცირე საოჯახო სახლების დატოვების შემდეგ. სოციალურ მუშაკთა ასოციაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინიტროს ფარგლებში მოქმედ ეროვნულ ახალგაზრდულ ცენტრთან თანამშრომლობით PIN-მა იმერეთში აღნიშნული მომსახურეობით 15 ახალგაზრდა უზრუნველყო.

შემდგომი პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით — ხელობის შემსწავლელ ტრეინინგების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია ყველასთვის, სახელმწიფო კოლეჯის დასრულების შემდეგ ყველა სტუდენტს არა აქვს თანაბარი შესაძლებლობა გამოიყენოს მიღებული ცოდნა და უნარები დასაქმებისთვის. არა აქვთ შესაძლებლობა შეისყიდონ მათი საქმიანობებისთვის საჭირო ინვენტარი და მოწყობილობები. PIN-ის მიერ ინიცირებული საპილოტე პროექტის ფარგლებში სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს (2013-2014), რომლებიც ასევე აღრიცხულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა სახელმწიფო ბაზაში, შეაძლებლობა მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ საგრანტო პროგრამაში. საერთო ჯამში, ტყიბულსა და ქუთაისში გრანტით დაკმაყოფილდა 5 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ 5000 ლარის ღირებულების მოწყობილობები საკუთარი, იურიდიულად დარეგისტრირებული მცირე ბიზნესის დასაწყებად.

საერთო ჯამში, პროექტში 500-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და 400-ზე მეტ შეჭირვებულ ოჯახს გაეწია სოციალური მომსახურეობა. შეიქმნა 4 სოციალური საწარმო. 92-მა ახალგაზრდამ ხელობის შემსწავლელი კურსები გაიარა, ასევე მათგან 22 კურსდამთავრებული მცირე საგრანტო კონკურსის წარმატებით დასრულების შემდეგ დასაქმდა.

მცირე საოჯახო სახლის 14-მა ახალგაზრდამ გაიარა უნარ-ჩვევების ტრენინგი და ხელობის შემსწავლელი კურსები.

პროექტში მონაწილეებს საკუთარი საქმე გაუჩნდათ და სახელმწიფოზე დამოკიდებულნი აღარ არიან. რამდენიმე წელში ისინი თავად გახდებიან დამსაქმებლები და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილებს შექმნიან.

„ადამიანი გაჭირვებაში" არის ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც საქართველოში მოქმედებს 2005 წლის მეორე ნახევრიდან. გააჩნია საკუთარი წარმომადგენლობები ქუთაისსა და თბილისში. 2008 წლიდან „ადამიანი გაჭირვებაში" ორიენტირებულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე, განსაკუთრებით სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო ურთიერთობით. ამასთანავე, ორგანიზაცია ხელს უწყობს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარებას. ორგანიზაციის საქმიანობები, ძირითადად, მოიცავს სოფლის მეურნეობას, ახალგაზრდების ჩართულობას და განათლებას. მიმდინარე პროექტები ხორციელდება იმერეთში, რაჭაში, შიდა ქართლში, კახეთსა და თბილისში. დონორებს შორის არიან ევროპული კავშირი, ჩეხეთის განვითარების სააგენტო და მსოფლიო ბანკი.

ნესტან ჩაგელიშვილი

PEOPLE IN NEED CZECH REPUBLIC

CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION

GASW საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

პანდუსი — მოძრაობის უფლება

რამდენიმე კვირის წინ ქუთაისში შშმ პირების აქციის გასაშუქებლად დამიკავშირდნენ. ვინაიდან აქცია, სამშვიდობო თუ საპროტესტო, ჩვენთან მაინც მთავრობასთან ასოცირდება, ამჯერადაც ჩავთვალე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათი პრობლემების გასაჟღერებლად და მთავრობის უმოქმედობის გასაპროტესტებლად შეიკრიბნენ.

აქციაზე მისულს სხვა ვითარება დამხვდა. მათ მიერ გაჟღერებული მესიჯების შესახებ რომ გავიგე, გულწრფელად შემრცხვა. ადამიანები, ჩვენი რეალობიდან თავიანთ მეზობლებს, მეგობრებს, თანამოქალაქეებს მიმართავდნენ — არ დაემტვრიათ მათთვის განკუთვნილი ტრანსპორტი, არ მოენგრიათ პანდუსი, მათი გადაადგილებისთვის აუცილებელი საშუალება და არ დაეყენებინათ ავტომობილები მათთვის განკუთვნილ პარკირების ადგილზე. ეს ადამიანები თანასწორობას და არსებობის უფლებას ითხოვდნენ: ,,ნუ შეეცდები ჩემს შეცვლას, ეცადე შეცვალო გარემო!“—აღნიშნავდნენ აქციის მონაწილეები.

ალბათ, არც აქციაზე მყოფთაგან და არც გამვლელთაგან უფიქრია ვინმეს, რომ ეს მესიჯები მათი მისამართით იყო გამოთქმული, რადგან ვთვლით, რომ ჩვენ კარგი მოქალაქეები ვართ და ეს სხვები აფუჭებენ.

იმ დღეს ერთ-ერთ მეგაშოუში შეზღუდული შესაძლებლობის პირები გამოვიდნენ და თავიანთი ნომრით დარბაზი აატირეს. ალბათ, იმ ღამით მთელი ქვეყანა იმ ადამიანებს გულშემატკივრობდა და მათ უსაზღვრო შესაძლებლობაზე საუბრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ იმ ღამით იყო...

ამ გადაცემის გასვლიდან რამდენიმე დღეში კი ქალაქში ეტლით მოძრავ ადამიანს შევხვდი, რომლის ქუჩაზე გადაყვანასაც თანმხლები პირი უშედეგოდ ცდილობდა, ავტომობილთა გრძელ რიგს ბოლო არ უჩანდა და არც რომელიმე მძღოლი ცდილობდა ,,ზებრაზე“ ეტლით მდგომი ადამიანისთვის გზის დათმობას. რამდენიმე ფეხით მოსიარულესგან კი გავიგონე — ,,რას წვალობს, ვერ დარჩება სახლში?!“.

სამწუხაროა, მაგრამ ეს ფრაზა პირველად არ მსმენია. საზოგადოება პრობლემის დამალვით ცდილობს მის მოგვარებას: ვერ დადის ფეხზე? - არ უნდა გამოვიდეს ქუჩაში, მსუბუქი ყოფაქცევისაა? — რაც უნდა, ის ქნას, ოღონდ ხალხს ნუ დაენახვება; ცუდად არის? — გაჩუმდეს.

ალბათ, ესაა მიზეზი იმისა, რომ შშმ პირებმა ჯერ კიდევ ვერ დაძლიეს სახლიდან გამოსვლის შიში. საზოგადოების არასწორი დამოკიდებულების გამო ცდილობენ დაიმალონ, სახლში დარჩნენ, საზოგადოებას რომ მყუდროება არ დაერღვეს. ამ ადამიანების ჩაკეტილობა და დუმილი გახდა მიზეზი იმისა, რომ ქალაქში არც სტრატეგიულ ობიექტებს და არც გზებს არ აქვს **პანდუსი — მოძრაობის უფლება.** ან თუ აქვს, არაპროფესიონალიც მიხვდება, რომ პანდუსი მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით არის გაკეთებული, რაზეც მოძრაობა არა თუ ეტლით, მყარი ფეხსაცმლითაც გაჭირდება.

ისევ შშმ პირთა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობით ადგილობრივმა ხელისუფლებამ შშმ პირთა პრობლემებზე ზრუნვა დაიწყო. ეს საკითხები ბიუჯეტშიც მოხვდა და ქუთაისის მერიაში პანდუსი დამონტაჟდება. თუმცა, როგორც ირკვევა მერიაში ვერ ან არ გაითვალისწინეს, რომ მხოლოდ პირველ სართულზე პანდუსის გაკეთება პრობლემას ვერ მოაგვარებს და რომ შშმ პირთა გადასაადგილებლად სპეციალური ლიფტიცაა საჭირო.

პროფესიის გამო შშმ პირებს ხშირად ვხვდები და მათ პრობლემებს დეტალურად გავეცანი. უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად, როდესაც სიტყვა პანდუსი გავიგე, საკმაოდ დიდი ვიყავი. შევეცადე დამემახსოვრებინა ეს უცხო სიტყვა და მისი მნიშვნელობაც გამეგო,რის შემდეგაც იმ შენობების და ქუჩების შესწავლა დავიწყე, სადაც პანდუსი იყო დამონტაჟებული. არც ისე რთული საქმე აღმოჩნდა, რადგან ქალაქში მსგავსი ადგილი იშვიათი იყო - პრობლემა კი უზარმაზარი, რომლის მოგვარებასაც საზოგადოების და ხელისუფლების სურვილი და მზაობა სჭირდება, პირველ რიგში აღიარონ და მიიღონ "განსხვავებული" ადამიანები, რომლებიც თანასწორუფლებიანობას ჩაკეტილ სივრცეში ამტკიცებენ.

ნესტან ჩაგელიშვილი

ბიჭები ყავარჯნებით სასწაულებს ჩადიან

რატომ ვერ გაემგზავრა ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე და რა ბრალდებები აქვთ სახელმწიფოს მიმართ?

6 დეკემბერს ქუთაისის სპორტის სასახლეში ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში 4 გუნდი მონაწილეობდა. თბილისის, ზესტაფონის, გორის და ზუგდიდის გუნდებმა მატჩები გამართეს და ჩემპიონიც გამოავლინეს.

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

გამარჯვება თბილისის გუნდს ერგო, მეორე ადგილზე ზესტაფონის გუნდი გავიდა, მესამე-მეოთხე ადგილები ზუგდიდსა და გორს შორის გადანაწილდა.

სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი საოცარი თამაშის მომსწრე გახდა. ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის წევრები გასაოცარი მონდომებითა და შემართებით ებრძოდნენ ერთმანეთს გამარჯვებისთვის.

„არ ვიცით, სხვებისთვის როგორაა, მაგრამ ჩვენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვართ,“—აღნიშნავდნენ ფეხბურთელები.

თამაშს საინტერესოს ფეხბურთელთა შეუზღუდავი ასაკი ხდიდა. ჩემპიონობისთვის ყველაზე უფროსი 73 და ყველაზე პატარა 9 წლის ფეხბურთელები იბრძოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამპუტანტ ფეხბურთელთა ფედერაციას 15 წლიანი ისტორია აქვს, ის მაინც პრობლემების წინაშე დგას. როგორც თბილისის გუნდის კაპიტანი გიორგი ხვედელიძე აღნიშნავს, ფედერაცია 15 წლის წინ ჩამოყალიბდა, ფინანსების გამო შეჩერდნენ. ორი წლის წინ კვლავ აღდგა და აქტიური თამაშიც დაიწყეს. თუმცა, ფეხბურთელები ახალი მთავრობის პირობებშიც ფინანსური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ. გუნდმა 11 დეკემბერს მექსიკაში ამპუტანტ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად სპორტის სამინისტროსგან და ფეხბურთის ფედერაციისგან საჭირო 22 000 ევრო ვერ მიიღო. ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს საფეხბურთო ისტორიაში, როდესაც გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა.

„მხოლოდ მგზავრობის თანხა გვჭირდებოდა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. მაგრამ სპორტის სამინისტრომ და ფეხბურთის ფედერაციამ მინიმალური თანხითაც ვერ დაგვაფინანსა. არადა შშმ პირთათვის უამრავი თანხაა გამოყოფილი, ჩვენამდე არ აღწევს და არ ვიცით, ეს თანხები სად მიდის, ერთ თეთრსაც ვერ ვიღებთ, მხოლოდ მოტივაციასა და ენთუზიაზმზე ვთამაშობთ. შეიძლება სხვებისთვის ეს არაფერია, მაგრამ ჩვენთვის სიცოცხლის აზრია. ვფიქრობთ, რომ საჭირონი ვართ, რაც არ უნდა დაღლილები ვიყოთ, ყოველი თამაშის შემდეგ უზარმაზარ ენერგიას ვგრძნობთ,“—აღნიშნა ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის წევრმა გიორგი ხვედელიძემ.

ამპუტანტმა ფეხბურთელებმა 6 დეკემბერს ქუთაისში პარლამენტთან აქცია გამართეს და ხელისუფლების უყურადღებობა გააპროტესტეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ხელისუფლება მათი პრობლემებით არ ინტერესდება.

ამ ადამიანებს ერთი პრობლემა აერთიანებთ, თუმცა, მათ მაინც საკუთარი განსხვავებული ისტორია და პირადი ცხოვრება აქვთ. თითოეული მათგანი პირად ტრაგედიას ატარებს, იბრძვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და და ცდილობს საკუთარი გამოცდილებით სხვების ცხოვრება გაამარტივოს.

გიორგი ხვედელიძე, ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგის წევრი: „1970 წელს ქუთაისში დავიბადე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში წავედი. იქ ავარია მოხდა და მატარებელმა გადამიარა. ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება შეიცვალა, მაგრამ შევძელი საკუთარ თავში მეპოვა ძალა, რომ ცხოვრება გამეგრძელებინა. 24 წლის წინ ოჯახთან ერთად თბილისში გადავედი, მყავს მეუღლე და ორი შვილი. მაქვს საკუთარი საქმე. 15 წლის წინ ჩამოვაყალიბე ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი. სამწუხაროდ, თანხის არარსებობის გამო ვარჯიში ვერ გავაგრძელეთ. ორი წლის წინ კი ისევ შევიკრიბეთ და თამაში დავიწყეთ.ეს ჩვენთვის მოტივაციაა, ვვარჯიშობთ, ერთად ვართ და ერთმანეთს ვეხმარებით. არც ისე ბევრი, მაგრამ სამწუხაროდ, მსგავსი პრობლემის ადამიანები არსებობენ. მათ სჭირდებათ მოტივაცია და დახმარება. ჩვენი ორგანიზაცია სწორედ ამას აკეთებს. ვცდილობ, ამ ბიჭებმა იგრძნონ, რომ მათაც შესწევთ ძალა კარგი საქმის კეთების, რომ არავისზე ნაკები არ არიან. ვისაც არ სჯერა, შეუძლია თამაშზე მოვიდეს და ნახოს, ეს ბიჭები ყავარჯნებით რა სასწაულებს ჩადიან. მთავრობისგან ელემენტარულ ყურადღებას ვითხოვთ, რომ ვარჯიში შევძლოთ. რამდენიმე ხნის წინ წყალტუბოში პატარა ბიჭი აღმოვაჩინე, რომელსაც ფეხის პრობლემა აქვს. გავარკვიე, რომ თამაში უნდოდა. მოვიყვანე ჩვენს გუნდში და ჩემპიონატშიც ვათამაშე, მაგრამ ვიდრე თბილისში წაყვანას შევძლებ, წყალტუბოში სპორტკომპლექსის დირექტორს ვთხოვე, დარბაზში ევარჯიშებინა, მაგრამ უარი მითხრა. იმედია, გადავაფიქრებინებ და ამ ბავშვს ვარჯიშის საშუალება მიეცემა. სახელმწიფო კი მიხედავს შშმ პირებს, იზრუნებს მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნასა და მათთვის ცხოვრების გამარტივებაზე“.

წყალტუბოში მცხოვრები ლაშა ბერაძე ჯერ მხოლოდ 9 წლისაა, თამაშისგან განსხვავებით, საუბარში აქტიურობით არ გამოირჩევა. ჯერ არაა შეჩვეული საზოგადოებასთან აქტიურ ურთიერთობას. თუმცა, ამბობს, რომ თამაში ძალიან მოსწონს და მზად არის, წარმატებისთვის ბევრი ივარჯიშოს.

მსგავსად სხვა მოთამაშეებისა, მთავრობის უყურადღებობაზე ამახვილებს ყურადღებას 72 წლის ზურაბ მამულაშვილი.

ზურაბ მამულაშვილი: „10 წლის ვიყავი, ფეხი რომ დავკარგე. ტრამვაის ავარიაში მოვხვდი. ტრამვის გამო ორწლიანი დაგვიანებით დავამთავრე საშუალო სკოლა. შემდეგ პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტი. ბავშვობა რომ არ დამეკარგა, ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდი ბავშვებთან. ორძელზე ვვარჯიშობდი, ხეებზე ავდიოდი, ბავშვობას ვიხალისებდი. რამდენიმე წლის წინ ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდიდან დამიკავშირდნენ და მკითხეს, ხომ არ ვიცნობდი ახალგაზრდას, რომელიც ფეხბურთის თამაშს შეძლებდა. ვკითხე, მეც თუ მომცემდნენ თამაშის უფლებას, ასე აღმოვჩნდი გუნდში ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე. გვიხარია თამაში, ერთად ყოფნა. მაგრამ ის, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც ჩანს, მთავრობას არ აინტერესებს. მიზერული თანხებით გვაფინანსებენ, ეს არაა საკმარისი, რომ საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვიგრძნოთ თავი, გვჭირდება ადაპტირებული გარემო, ხელშეწყობა, რომ შევძლოთ ჩენი შესაძლებლობების გამოვლენა. თუ მთავრობა ჩვენით დაინტერესდება, კარგი იქნება“.

ნესტან ჩაგელიშვილი

საქართველო შევიდა ევროკავშირში, ქართველები?...

ჩემო თანაქალაქელებო, ამდენმა მოულოდნელმა ამბებმა ისე ამირია აზრები, რომ დიდი სურვილი გამიჩნდა, გაგიზიაროთ ჩემი მცირე მოსაზრებანი ევროკავშირისა და ქართველების შესახებ.

მე ვარ ხანდაზმული მამაკაცი, რომელიც მრავალი ქარტეხილის გავლის შემდეგ შემოვრჩი ამ ქვეყანას. გამოვცადე აღმაფრენის და დაცემის სიმწვავე. შეგნებული ცხოვრება გავატარე ტოტალიტარული სახელმწიფოს ხელში და როდესაც დაიმსახურა პენსია, ახალმა კანონმა უპასუხა — „პენსია ეკუთხვნის კაცს მოხუცებულობისათვის 65 წლის შემდეგ და არა მავნე პირობებში მუშაობისათვისო".

ასე რომ, ვმუშაობდი მავნე პირობებში — შახტაში, ჯერ კიდევ იმ წყობის ხელში ქართველი მეშახტეები ვთვლიდით, რომ ჩვენი ეროვნული ღირსებანი გამოგვეყენებინა და გარკვეული ტექნოლოგიებისათვის თუ ხერხებისათვის გვეწოდებია „ქართული", გამოცდილება და სხვა, ახლა კი ის, რაც ნამდვილი ქართულია — უპირატესია, ისიც კი იჩქმალება იმ აზრით, რომ „მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს", „არ გვაქვს კანონი, რომელიც იცავს" და ა.შ. აქ ერთი ნათელი მაგალითიც კმარა, მსოფლიო დონის მეცნიერებმა დასკვნა დაწერეს — საყდრისის ყაჩაღიანის საბადო უძველესი მიწისქვეშა საბადოა, ხოლო ქართველები თავს იკლავენ „არაფერია მაგიო, მატყუარების მოგონილიაო".

ანალოგიურმა შემთხვევამ ამაღებინა ხელში კალამი და გთავაზობთ, იმ სავალალო შემთხვევის გამო, რომლის შესახებაც სატელევიზიო სივრცე გაჯერებულია პრობლემატური კითხვებით, ხოლო ნედლეული საყრელი გვაქვს.

მაშ ასე, მივადექით სათქმელს: <u>**სასმელი წყალი**</u>. საქართველოში. ნებისმიერი ტელეკომპანიის გადაცემაში უხვად მოიპოვება ისეთი სიუჟეტები, რომლებიც ამტკიცებენ — „...სასმელი წყალი იყო და ახლა აღარაა?" ამბობს რიგითი მოქალაქე. გაერთიანებული თუ დაშლილი წყალმომარაგების წარმომადგენლები კი ამას პოლიტიკას უწოდებენ. ეს არის ის სიმდიდრე, რომლის სიუხვით გამოირჩევა საქართველო, მაგრამ ეს შედარებით ცოტა ჩანს, ვიდრე ნავთოპროდუქტები, ენერგორესურსები თუ, იქამდის, პურიც კი.

აქ შემოდის ტერმინი — „საქართველო შევიდა ევროკავშირში, მაგრამ ქართველები...?" ჩნდება ბზარი ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობაში, ვერ ახერხებენ გარკვეული საკითხების მოგვარებას. ახლა როგორ დაეხმარება ევროკავშირი და რატომ ვერ შეძლებდა ის ამას ხალხისათვის?

აქ ელემენტარული კითხვა ჩნდება:

- ხელისუფლებას აქვს საშუალება (ჩვენგან მიცემული) მისი გამოყენების;
- მთავრობა ეხმარება მთავრობას და არა ხალხს?

მოდით, ახლა გავარკვიოთ ის „დიდი" რეფორმები, რომელიც გაკეთდა წარსულში, კეთდება ახლაც და ვერ აღვიქვით ჩვენ.

<u>**ქუთაისის პირველი რეფორმა წყალმომარაგებაში დევიზით — „წყალი დეფიციტის გარეშე"**</u>

2005 წელს საქართველოში დაიწყეს სასმელი წყლით ურბანული დასახლებათა მომარაგების საკითხი (აღსანიშნავია, რომ იგი დაკავშირებულია აწგარდაცვლილ ჟვანიას სახელთან და მილენიუმის პროგრამასთან) და მათ შორის იყო ფოთისა და ქუთაისის წყალმომარაგების ქსელების მოწესრიგება — რეაბილიტაცია.

ქუთაისში მას მისცეს დევიზი „წყალი დეფიციტის გარეშე" და დარჩა ისევ ისე. ახლა კი 114 თვეა, აგვარებენ წყალს და ჯერჯერობით ისევ დიდი განსხვავება არაა, მცირედი უპირატესობისა და დისციპლინირების გარდა.

რადგანაც ჩვენ საუბარი დავიწყეთ სასმელი წყლით მომარაგების შესახებ, განვიხილოთ იგი თქვენთან ერთად და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულება მისი შესაძლებლობების შესახებ.

ჯერ დავახასიათოთ სასმელი წყლით მომარაგების საკითხი მთლიანად საქართველოსათვის, შემდეგ იმერეთისათვის, შემდეგ განვიხილოთ მასში დადებითი და უარყოფითი მხარეები და აქედან შევჩერდეთ ყველაზე სასურველი აზრის გარშემო და დავიწყოთ დისკუსია.

1. საქართველოში მოედინება 26000 დიდი, მცირე, საშუალო, წყალმეჩხერი და წყალუხვი მდინარე.

2. ენერგეტიკული თვალსაზრისით, საქართველოში თვლიან საინტერესო მდინარედ სულ ექვსს — ბზიფი, კოდორი, ენგური, ცხენისწყალი, რიონი, მტკვარი.

აღნიშნული ექვსი მდინარედან ორი გადის იმერეთის ტერიტორიაზე და ამ დროს იმერეთს არც ენერგეტიკული უზრუნველყოფა აქვს და არც სასმელი წყლით მომარაგების უსაფრთხოება, თუ უზრუნველყოფა.

იმერეთში არსებული 12 მუნიციპალიტეტიდან საკუთარი წყალმომარაგება, როგორც იურიდიულად, ისე ფიზიკურად, აქვს მხოლოდ საჩხერის მუნიციპალიტეტს, სადაც იციან, თუ როგორ აიყვანონ ეს დარგი ევროპულ დონეზე (წყალმომარაგებისა და წყალარინების მოწყობის, გასუფთავებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიხედვით). დანარჩენი 10 მუნიციპალიტეტი კვლავ ცენტრალიზებულია და ადგილობრივი თვითმმართველობის კონტროლიდან (სერვისების მიწოდება მოსახლეობაზე) გამოსული უწყებაა. იგი დღეისათვის ეკუთვნის ცენტრალურ ხელისუფლებას (რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს).

მაშ ასე, იმერეთში სასმელი წყალი რაოდენობრივადაც კმარა, ხარისხი კარგია (გავითვალისწინებთ მიწისქვეშა წყლებს) და მისაწოდებლად ხელმისაწვდომია. დარჩა ჩვენივე საქმიანობა, თორემ წყალი გვექნება ისევ „დეფიციტის გარეშე". ამ საკითხში საჭიროა ჩაერთოს არა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, არამედ ჩვენ - ხალხი, მეცნიერები, სპეციალისტები, მშენებლები და ადგილობრივი თვითმმართველობა.

თანაც, ეს ყოველი ისე უნდა მოხდეს, რომ მონიტორინგის ძირითადი ბერკეტები ხელთ ჰქონდეს ხალხს, რომელიც პასუხს მოთხოვს თავის არჩეულ ხელისუფლებას ნებისმიერი გადახვევისათვის. სწორედ ასე შეიძლება შევიდეთ ევროკავშირში საქართველო და ქართველებიც, მაშინ ვიქნებით მონოლითურად აწყობილი სახელმწიფო ერთიანი საქმისათვის, ერთიანი გეგმით და ერთსულოვნებით — ქართველებიც და საქართველოც.

<u>**ახლა რა გვაქვს იმერეთში**</u>

- ერთ ორგანიზაციაზე დამოკიდებული 10 წყალმომარაგება;
- წყალარინების ერთიანი მოთხოვნის უარყოფა — არის ისეთი, როგორიც სინამდვილეში გვაქვს;
- ერთმანეთის მოთხოვნების უგულვებელყოფა და მათი ინტერესების გაუთვალისწინებლობა (ვერ გაიგე, ვინ იგებს და რას იგებს, ან ვინ აგებს, რამდენს და რატომ) — ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების თანხვედრის საკითხი, რამოდენიმე წელია, ვერ გაირკვა ვერცერთ დონეზე;
- ჯერ კიდევ არსებობს ვანის მუნიციპალიტეტი, რომელსაც არ გააჩნია არც წყალმომარაგების და არც წყალარინების პროგრამა, არა თუ წყალმომარაგება;
- სამტრედია-ხონის მეზობლური ურთიერთობა შესანიშნავი მაგალითია, როგორ შეიძლება ავაწყოთ იმერეთის რეგიონში ასოციაციათა გაერთიანება საერთო პრობლემათა გადაჭრის მიზნით და აქვე საინტერესოდ მოჩანს თვით დარგის სტრუქტურა შემდგომად.

სასმელი წყლის საბადოების გაერთიანება ჯგუფურად ან ერთად მომპოვებელითა და გადამცემის პროფილების გათვალისწინებით რათა მივიღოთ პროდუქტი — „სასმელი წყალი". მისი შემდგომი ტრანსპორტირებისა და ბითუმად გაყიდვისათვის. პროფესიების მიხედვით ანუ მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც ხარისხიან სასმელ წყალს მიაწოდებს ურბანული დასახლებების რეზერვუარებს და მიჰყიდის მათ მათთვის სასურველი წინასწარი დაკვეთის საფუძველზე ხელშეკრულებით.

დღეს არავინ არაფერს უკვეთავს, არავინ არ თვლის, რა არის მომგებიანი და რა წამგებიანი.

მაგალითად: ქუთაისის წყალმომარაგების საშუალო დონე 150 მეტრია ზღვის დონიდან და წყალმომარაგებას ახორციელებს ზღვის დონიდან 65 მეტრის სიმაღლიდან, ანუ 85 მეტრზე წყალს ტუმბავს ქვემოდან ზემოთ უქმად მაშინ, როდესაც მოიძებნება შედარებით ზემო ნიშნულები წყლის მოპოვების გზები და წყაროები თვითდინების განსახორციელებლად.

საბოლოოდ, მეგობრებო, გთხოვთ, დარწმუნდეთ, რომ სახელმწიფო და მისი შესაძლებლობები დამოკიდებულია ჩვენზე. გთავაზობთ, ჩვენ გამოვიჩინოთ სახელმწიფო ინტერესი, საკუთარი სამეურნეო დაინტერესებიდან, მოიძებნება ჩვენს შორის პროფესიონალებიც იმის შესახებ, რომ წყალს ქვევიდან არ უნდა ვტუმბავდეთ, თუ ის ზევიდან შეიძლება მივიღოთ და ეს თანხები, რომელსაც ისინი გვახდევინებენ, უნდა გადავიხადოთ პროდუქციის მოწოდებისათვის და არა ისე, როგორც ქუთაისის მაღლივ სართულებში ატუმბვისათვის, ან წლის მიუწოდებლობისათვის (მაგალითად: დავით აღმაშენებლის 125 ნომერი).

ამდენად, ახლა გთხოვთ, კარგად გაითავისოთ — იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს ეფექტური წყალმომარაგება, საჭიროა თქვენი ჩართვა. მოითხოვეთ თქვენი ამ საკითხში აქტიური ჩართვა, მუნიციპალიტეტიდან დაწყებული, იმერეთის მხარის გათვალისწინებით (ყველაზე წყალუხვი მხარეა), თქვენი ინტერესების გათვალისწინებისათვის სასმელი წყლით მომარაგების სახელმწიფო მოწყობაში, საიდანაც სარგებელს მიიღებს:

ეკონომიკურს	- სახელმწიფო - რეგიონი - საზოგადოება	- ენერგოდა-ზოგვა
საცხოვრებელი გარემოს შეცვლით	- საზოგადოება - ეკოლოგია	
რესურსული დაზოგვით	- სამყარო -სახელმწიფო	
ადგილობრივი, დარგობრივი	- საზოგადოება	
კონფლიქტურობის მოგვარება	- ყველა	
ევროკავშირის მოთხოვნა	- ანტიმონოპოლიური მოთხოვნის დაკმაყოფილება	

ისმის კითხვა: ვის ხარჯზე? რომელსაც ვცემთ პასუხს შემდეგნაირად — ეკონომიის ხარჯზე, რომელსაც ვაღწევთ ტექნოლოგიის, ბუნებრივი პირობების ჩვენი მონდომების ხარჯზე.

დარჩა ერთადერთი კითხვა — რა ეშველება გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას? პასუხია — საჭიროა როგორც სასმელი წყლის მომწოდებელი და იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც საქართველოში (შეიძლება მის ნაწილში) წყალმომპოვებელი კომერციულ უწყებად.

სქემატურად შემდეგნაირად წარმოგვიდგენია:



ამდენად, ზოგადი სტრუქტურული სისტემური სქემა წარმოგვიდგება სამ საფეხურიანი:

1. წყლის მოპოვება (სახის მიცემა);
2. სასმელი წყლის ტრანსპორტირების განხორციელება (სასაქონლო სახის მიცემა);
3. ურბანული დისტრიბუცია (ურთიერთობა აბონენტებთან ანუ საცალო - საბითუმო დისტრიბუცია).

ამ სტრუქტურიდან ორი უკვე გვაქვს — ესაა მოპოვება და დისტრიბუცია. შესაქმნელია მხოლოდ ტრანსპორტირების რგოლი, რითაც მივიღებთ სრულყოფილ სისტემას და მოწესრიგებული, მაღალპასუხისმგებლობიანი, ანტიმონოპოლიური ხასიათის კომერციულ ერთეულს ადგილობრივი თვითმმართველობისგან სერვისების მიწოდებისათვის მის მოსახლეობაზე.

მოგმართავთ თხოვნით: წყალი თქვენი ოჯახისათვის ზრუნვის საფუძველია და წესრიგის დამყარებაც ამ სფეროში თქვენზეა დამოკიდებული, ამიტომ ვიმუშაოთ ერთად მის გამოსასწორებლად.

ჩვენთან კონსულტაციისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ნებისმიერ დროს ტელეფონზე (5-95) 51-52-57; ზაზა ხელაძე.

საბოლოოდ ამ წინადადების განხილვის მომხიბვლელობა და მოტივაცია შემდეგია:

- სასმელი წყალმომარაგების საკითხი მიუახლოვდება ნებისმიერი პროდუქციის წარმოების ზოგად სახეს (მოპოვება, სასაქონლო სახის მიცემა);
- განხორციელდება დეცენტრალიზაცია, დეკონცენტრაცია და სუბსიდირების პროცესი რეალურად;
- ევროკავშირი მიიღებს ქართველებს, საქართველოსთან ერთად, როგორც ევროპულ ფასეულობათა მატარებელ ხალხს.

ძვირფასო მკითხველო, უმორჩილესად გთხოვთ, კარგად წაიკითხოთ ეს წერილი, რომელიც წარმოადგენს საქართველოში წყალმომარაგების მოწესრიგებისა და სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთ წინადადებას, შეიტანოთ მასში შესაბამისი კორექტივები, თქვენი წინადადებები, გაამდიდროთ იგი და დავიწყოთ მის გარშემო დისკუსია:

ქუთაისი, წერეთლის 71
ასოციაცია „ასა"
ზაზა ხელაძე

გმადლობთ წინასწარ!

სტატია დამუშავდა პროექტის „მივიტანოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსი ქუთაისელებამდე" ფარგლებში, რომელიც სრულდება იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით, რასაც დიდი მადლიერების გრძნობით ავღნიშნავთ.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: გექნებათ პირობები მატერიალური ბაზის შექმნის და გამყარებისათვის, თუმცა ამ მიმართულებით მოგიწევთ ფუნდამენტის ჩაყრა, ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით გამოიჩინეთ გარკვეული თავშეკავებულობა.

კურო: არც ზედმეტი სიხარბე და არც მფლანგველობა სიკეთეს არ მოგიტანთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელოვან მოგებას თან არსებითი დანაკარგებიც მოჰყვება.

ტყუპები: რეკომენდებულია გრანდიოზული ფინანსური ინიციატივებისგან თავშეკავება. შესაძლოა, გახდეთ ტყუილის მსხვერპლი. შეგიძლიათ დაისვენოთ ან განმარტოვდეთ.

კირჩხიბი: გაგიჭირდებათ დროულად შეჩერება და გაწეული საქმის შეწყვეტა, ახალი მაცდუნებელი შემოთავაზების გათვალისწინებით.

ლომი: უფროსობა მრისხანებას შეცვლის მოწყალებად, რითაც შეეცდება დაგარწმუნოთ რაღაც არარეალურ, აუხდენელში. არასამუშაო განწყობა გექნებათ.

ქალწული: შესაფერისი დროა კოლეგებთან ერთად წარმატების აღნიშვნისთვის ან მათთან შერიგებისთვის. მოგიწევთ დაფიქრება გეგმებზე, მათი განხილვა სხვა ადამიანებთან.

სასწორი: თანამშრომლების დისციპლინა მეტად მოისუსტებს და თავადაც მოადუნებთ ყურადღებას. შედეგად მოსალოდნელია არაპატიოსანი საქციელი ფულად და საქმიან სფეროში.

მორიელი: შესაფერისი მომენტია საქმიანი ურთიერთობის შერბილებისთვის პარტნიორებთან. კონკურენტებთან მოძებნით საერთო ენას ჭიქა ყავაზე ან კათხა ლუდზე. ახალ ინფორმაციას მიიღებთ. მოულოდნელი ფინანსური სტაბილურობა გელით.

მშვილდოსანი: თქვენი ურთიერთობა მოწინააღმდეგეებთან და კონკურენტებთან გამარტივდება. შესაძლოა, მოკავშირის, საინტერესო თანამოსაუბრის, გონიერი მრჩეველის გარეშე დარჩეთ.

თხის რქა: თქვენი მატერიალური წარმატების ალგორითმი მეტად მარტივია, რაც უფრო მეტს შრომობთ, მით უფრო მეტს გამოიმუშავებთ. ახლობლებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური მხარე.

მერწყული: დაძაბული მუშაობისთვის ძალები არ გეყოფათ. დროული იქნება შემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა. ამ კვირაში მოსალოდნელია, ძველი მეგობრისგან საქმიანი წინადადება მიიღოთ, რაც ფრიად გაკვირვებულს დაგტოვებთ.

თევზები: ბევრი რამის გაკეთებას შეძლებთ. საჭესთან სიფრთხილე გმართებთ. ხელმძღვანელობასთან პრობლემების გარკვევას მოერიდეთ.

როგორ დაიცვა სამართალი ერეკლე II-მ

ერეკლე II-ის ოქმი ქვრივოხერი დედის საჩივარზე შვილის წართმევის გამო

ეროვნულმა არქივმა გამოაქვეყნა მეფე ერეკლე II-ის ოქმი მამუკა გუგულაშვილის ქვრივის არზაზე, მუხრანბატონის აზნაურიშვილის მიერ მისი 10 წლის შვილის მსახურად წაყვანის შესახებ.

თავის არზაში ქვრივი ქალი მეფეს მიმართავდა: „ჩემის ქვრივოხრობით ერთი ყმაწვილი გავზარდე. ათის წლისა რომ შეიქნა მუხრანბატონის აზნაურშვილმა მამტაცა და მსახურათ წაიყვანა... მიშველე რამე, მე უჩემშვილოთ ვერ გავძლებ, თუ არა მეშველა რა, თავს მაინც დავიხრჩობ..."

მეფის გადაწყვეტილებით, აზნაურიშვილს დედისათვის შვილის დაბრუნება დაევალა, სანამ ის 15-16 წლის გახდებოდა.

ერეკლე მეფის ოქმი ქვრივის წერილზე: „ქ. ბატონო სახლთუხუცესო მუხრანის ბატონო იოვანე!.. რადგან ყმაწვილი ყოფილა, ისევ თავის დედას მისცეს თავისი შვილი იმ შენმა აზნაურშვილმა, გაიზარდოს და იმსახუროს, დააცადოს მანამდისინ თხუთმეტ-თექვსმეტის... მერათ როგორ მართებული იყოს, ისე იმსახუროს."

ისტორიულ-სამართლებრივი დოკუმენტი ადამიანის უფლებების დაცვას შეეხება და მისი გამოქვეყნება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს - 10 დეკემბერს მიეძღვნა.

ick.ge



უფასო განცხადებები

იყიდება

- იყიდება ზასტავაზე, წიგნის ბინაში, სამოთახიანი და ერთოთახიანი (ან ქირავდება) ბინები ერთად ან ცალ-ცალკე, მე-7-8 სართულზე, სუფთა რემონტით, სან-ტექნიკა და ვანა-ტუალეტი ახალი გარემონტებული. დამონტაჟებულია წყლის გამათბობელი და კარმა. მუშაობს ლიფტი უფასოდ. ავტოფარეხით.
მის: ირ. აბაშიძის №1/44, **ტელ:** 599 56-36-27

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: **599 41 27 49; 25 38 17**



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S."-ში („პოსტსკრიპტუმში")

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში"(ყოფილი „პოპული") - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი", რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

15.12.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ ლუიზა ლაკერბაიამ და ნანა გოგოლაშვილმა.

რას დაარქმევდით?

ბიძინა ივანიშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

სანდრო კვიტაშვილი

„წუნდებული" მინისტრი...

ნანა გოგოლაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

ჯროსვორდი

თარაზულად: 3. თამარ მეფის მეორე ქმარი დავით... 5. მწვერვალი ევროპაში მონ...(4807 მ). 6. კუროორტი კრასნოდარის მხარეში. 8. იკმარა, იმყოფა, ანუ... 9. წყლის მოლუსკის სახეობა. 11. მე-20 ასო ბერძნულ ანბანში.

შვეულად: 1. სათამაშოდ დადებული თანხა. 2. ბრაზილიაში: ქალაქი ... პაულუ. 3. სპილოს ნაშიერი. 4. პოეტი ... ევდოშვილი. 7. ჯანღი, ბურუსი. 10. ათჯერ ათი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. ფალანგა; 5. ელისო; 6. გეა; 8. როი; 9. მარიო; 11. ერევანი.
ვერტიკალურად: 1. ალისა; 2. სნო; 3. ფალკონე; 4. აპენინი 7. კაკაო 10. დეა.

გაზეთ „P.S." -ის საახალწლო აქცია:

„ვაჩუქოთ ერთი დღე ბავშვებს!"

გახდი ქველმოქმედი, შემოუერთდი აქციას, აჩუქე ერთი ლამაზი ახალი წელი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს — შეუძინე მათ სათამაშოები, წიგნები თუ ტკბილეული!

გაზეთი „პოსტსკრიპტუმი" გთავაზობთ პარტნიორობას საახალწლო სოციალურ პროექტში: „ვაჩუქოთ ერთი დღე ბავშვებს!"

პროექტი ითვალისწინებს საქველმოქმედო შემოწირულობებით წინასაახალწლოდ წიგნების, სათამაშოებისა და ტკბილეულის შეძენას რეგიონებში არსებული ბავშვთა სახლების, დღის ცენტრებისა და იმ სასწავლო დაწესებულებებისათვის, სადაც უმეტესად დევნილი, სოციალურად დაუცველი, შშმ და მზრუნველობამოკლებული პატარები სწავლობენ.

შემოწირულობების რაოდენობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ბავშვის გახარებას შევძლებთ საახალწლოდ. ამიტომ, გთხოვთ, იაქტიურეთ, თქვენი შესაძლებლობების მიხედვით ჩაერთეთ ამ აქციაში, რათა შევძლოთ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბავშვები გავახაროთ საახალწლო საჩუქრებით.

ქველმოქმედ ადამიანებსა თუ კომპანიებს მედიასახლი „პოსტსკრიპტუმი" სარეკლამო საინფორმაციო მხარდაჭერას სთავაზობს.

თუ თქვენი კომპანია ჩაერთვება ამ საქველმოქმედო აქციაში, მედიასახლი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") ერთი თვის მანძილზე უფასოდ გამოგიყოფთ **თქვენი საქველმოქმედო შემოწირულობის ტოლფას სარეკლამო ფართს გაზეთ „პოსტსკრიპტუმის" ინტერნეტპორტალზე www.psnews.ge, სადაც შესაძლებელი იქნება თქვენთვის სასურველი ნებისმიერი რეკლამის, განცხადების, მილოცვისა თუ სტატიის გამოქვეყნება.**

გთხოვთ, ქველმოქმედებისათვის გამოყოფილი თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:
„თიბისი" ბანკის ქუთაისის ფილიალი;
ბანკის კოდი: 220101888
ანგარიშის# GE05TB0300000040467281
მიმღები: შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი")
ს/კ 212822775

პატივისცემით, **ნატო გუბელაძე**
გაზეთ „პოსტსკრიპტუმისა" და
ინტერნეტგამოცემა www.psnews.ge-ს მთავარი რედაქტორი

599 107794; 577 247711

ქუთაისის ოპერის თეატრი 45 წლის იუბილესთვის ემზადება

2014 წლის 27 დეკემბერს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დაარსებიდან 45 წლის იუბილეს აღნიშნავს.

საიუბილეო კვირეული 23 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. ოპერის თეატრმა ერთ-ერთი საუკეთესო აფიშა შესთავაზა მაყურებელს, რომელიც თეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თორნიკე მარჯანიშვილმა და დასის ხელმძღვანელმა მაია ნიკოლაძემ სრულად გააცვნეს მოწვეულ ჟურნალისტებს.

საიუბილეო კვირეული გაიხსნება 23 დეკემბერს. შედგება ოპერის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის და ყოფილი დირიჟორის თეიმურაზ კობახიძის წიგნის პრეზენტაცია და გაიმართება კობახიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი.

24 დეკემბერს, ქუთაისის ოპერის თეატრის საიუბილეო დღეების მხარდაჭერის მიზნით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ გაიმართება გალა-კონცერტი,

26 დეკემბერს, ჩატარდება თეატრის ღვაწლმოსილი არტისტების გიორგი ლომთათაძისა და ანატოლი ჭურღულიას ვარსკვლავების გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

27 დეკემბერს, საიუბილეო კვირეული დაიხურება ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლით. წარმოდგენილი იქნება რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები". სპექტაკლს უდირიჟორებს თბილისის ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი.

თეატრის ხელმძღვანელობამ საიუბილეო დღეებში თანადგომისა და მხარდაჭერის გამო პრესკონფერენციაზე მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და თითოეულ ადამიანს. ვინც გულისხმიერება გამოიჩინა თეატრის მიმართ.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები 18:00 საათზე დაიწყება.

ჟანა ჯანელიძე

მილოცვა

მარი ორაგველიძეს და ვალერი ტიგინაშვილს, ლალი კუპრაშვილსა და რომან ორაგველიძეს ვულოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის შეძენას!

ჯანმრთელი და საამაყო ქართველი ქალბატონი გაზრდილიყოს პატარა **ნინო**! სახელოვნად გაეგრძელებინოს თავისი წინაპრების საუკეთესო საოჯახო ტრადიციები!

გაზეთ „P.S."-ის რედაქცია

„სტიგმა, სტერეოტიპები, ეთიკური ნორმები" — ტრენინგი ქუთაისელი ჟურნალისტებისთვის

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე: „სტიგმა, სტერეოტიპები, ეთიკური ნორმები".

ტრენინგი ადვოკატირების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი შშმ პირთა დასაქმებისა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის ახორციელებს.

ტრენინგი აქტიურ ფაზაში წარიმართა. მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქუთაისში მოქმედი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, ასევე სტუდენტები. ტრენერი **ნატო ქობულძე** ჟურნალისტებს სტიგმატიზაციასა და დისკრიმინაციის მანკიერებაზე, საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებზე, იარლიყებსა და ტერმინებზე ესაუბრა. გამოიყენეს როლური თამაში და განიხილეს სიტუაციური ამოცანები.

ტრენინგის მონაწილეებმა, სამომავლოდ, შშმ პირთა საკითხების უკეთ გაშუქებისთვის მეტი ინფორმირმაციის სურვილი გამოთქვეს.

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის პიარ-მენეჯერის მაკა ჩინიჯიშვილის თქმით, ეს არის საპილოტე პროგრამა, რომელიც შშმ პირთა დასაქმებას ისახავს მიზნად. პროგრამის ბაზაში 127 შშმ პირია რეგისტრირებული, 16 ადამიანი კი უკვე დასაქმდა.

ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან გააფორმა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც სოციალური მომსახურეობის სააგენტო ჩაერთვება ამ პროექტში და დაახლოებით 40 შშმ პირს დაეხმარება დასაქმებაში.

„ჩვენი მიზანია, შშმ პირები დავასაქმოთ, საზოგადოებაში დავარღვიოთ სტიგმა, კანონპროექტში კი შევიდეს ცვლილება, რათა მოხდეს შშმ პირთა აქტიურად ჩართვა საზოგადოებრივ პროცესებში," — განაცხადა **მაკა ჩინიჯიშვილმა.**

ჟანა ჯანელიძე